ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და
საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 44

29 სექტემბერი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გიორგი ბირბიჩაძე

გულია გოცირიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა. სხდომას ესწრებოდნენ ასევე დაინტერესებული მოქალაქეები:

ზაალ აბაშიძე

გიორგი ჭიოკაძე

რევაზ კლდიაშვილი

ზურაბ გაიპარაშვილი

თემურ ძვალიშვილი

ნათია გობეჯიშვილი

ალექსანდრე ქობელაშვილი

დალი ქობელაშვილი

ელენა კილაძე

ქეთევან გოდერძიშვილი

გიორგი შავერდაშვილი

თინათინ ძამაშვილი

ხადრი ძასჯავიძე

რობერტ მამისაშვილი

გიორგი ნანეიშვილი

თამარ ჩხეიძე

დოდო ჩხეიძე

თინათინ ნიბლოშვილმა დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ზექა ფილფანის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ზექა ფილფანის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, რუსთაველის ქუჩისთვის, მასთან არსებული ორი შესახვევისთვის და ხუთი ჩიხისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მესხეთის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთისთვის, ოთხი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების II შესახვევის მონაკვეთისთვის მხატვრის ნათელა იანქომშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუძბერ ბეთაშვილის I გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამუნა დოლიძის ქუჩისთვის რეხის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ცისისძირის I შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის როსტომ ქობელაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მესხეთის შესახვევისთვის, ყვარლის შესახვევისთვის და ყვარლის II ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ენათმეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე ღლონტის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბეთანიაში, თამარ მეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეფე გიორგი III-ის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის #198 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვარკეთილის მე-4 მ/რაიონში, მე-3 კვარტალში არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების გიორგი გოგალაძის, დავით გრიგოლიას და გოჩა პატარიძის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ბესთაუთის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების I შესახვევისთვის, ნავთლუღის დასახლების II შესახვევისთვის და ერთი გასასვლელისთვის ფსიქიატრის, აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის სახელის მინიჭების შესახებ

2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით 2020 წლის 5 ივნისს კომისიაში შემოსულია პეკინის ქ.#36-ა, ალექსანდრე ყაზბეგის #1-3-3ა და ვაჟა- ფშაველას გამზირის #2, #4 კორპუსების ამხანაგობების თავმჯდომარეების წერილი, რომლითაც ითხოვენ ზემოხსენებული კორპუსების საერთო სარგებლობის ეზოში არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის სახელი.

კომისიამ შეისწავლა საკითხი და დაადგინა, რომ საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე ე. წ. ბექას ქუჩის სახელწოდება დაკავშირებულია ბექა ფილფანთან, ახალგაზრდასათან, რომელიც აფხაზეთის ომში გმირულად დაიღუპა. ვინაიდან ბექა ფილფანი ხსენებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ადგილობრივ მოსახლეობას ქუჩისთვის ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობის გარეშე მისი სახელი უწოდებია.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას და ამავე გამზირთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბექა ფილფანის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, რუსთაველის ქუჩისთვის, მასთან არსებული ორი შესახვევისთვის და ხუთი ჩიხისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების შესახებ

მოსმენილ: ინფორმაციის წინასწარ გაცნობილობის ინფორმაციით, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, მდებარეობს რუსთაველის ქუჩა. სახელდების პროცესში კომისია ხელმძღვანელობს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილებით. ხსენებული დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან დაკავშირებული სახელდებისას მათი გვარ-სახელები ან ზედწოდებები, უნდა გადმოიცეს ტრადიციული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმით (მაგ, „ილია, შოთა, ვაჟა, გალაკტიონი“). ვინაიდან ხსენებული წესით ამავე მუხლის მიხედვით, დაუშვებელია სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის სახელის ინიციალების გამოყენება, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელებული სახელდება წინააღმდეგობაშია სახელდების წესის ზემოხსენებულ ნორმებთან, რადგან ქუჩის სახელწოდებაში სახელი, არათუ მხოლოდ საზოგადო მოღვაწის სახელით ან ინიციალითაა წარმოდგენილი, არამედ საერთოდ გამქრალია და გვხვდება მხოლოდ „რუსთაველი“.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში,მთაწმინდის რაიონში, წავკისში, რუსთაველის ქუჩას, მასთან არსებულ ორ შესახვევს და ხუთ ჩიხს მიენიჭოს შოთა რუსთაველის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მესხეთის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთისთვის, ოთხი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ზაალ აბაშიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის არქიტექტორის და საზოგადო მოღვაწის, სვიმონ კლდიაშვილის სახელის მინიჭებას.

კომისიაში ასევე შემოსულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შარვაშიძის წერილი, რომლითაც ითხოვს დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს სვიმონ კლდიაშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები, ისნის რაიონში ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მესხეთის ქუჩის მონაკვეთი, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთი, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ერთ დამოუკიდებელ ქუჩად, ქუჩასთან განვითარებულია ასევე ოთხი შესახვევი და ერთი ჩიხი.

კომისიამ შეისწავლა აგრეთვე სვიმონ კლდიაშვილის ბიოგრაფია. აღსანიშნავია, რომ იგი როგორც პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი, ავტორია თსუ შენობის პროექტისა. ზოგადად, სვიმონ კლდიაშვილის არქიტექტურული პროექტების დიდი ნაწილი დედაქალაქში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განხორციელდა და თბილისის განაშენიანებისა და იერსახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, დედაქალაქში არსებობდეს სიმონ კლდიაშვილის სახელობის ქუჩა. გაითვალისწინა ასევე ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მოხაკვეთის მაცხოვრებლების თხოვნა, კომისიაში შეეხოსული იყო განცხადება აღნიშნული ქუჩის სახელდებაზე, განცხადებას ერთვის ხსენებული ქუჩის მოქალაქეთა ათობით ხელმოწერა. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულმა პირებმა.

აზრი გამოთქვა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა. მან კომისიას მადლობა გადაუხადა აღნიშნული საკითხის განხილვისათვის, რადგან საზოგადოება სამწუხროდ საკმარისად არ იცნობს სვიმონ კლდიაშვილის ღვაწლს. მისი პროექტითაა აშენებული ქართული გიმნაზიის, შემდგომში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ის უშუალოდ ადევნებდა თვალს მშენებლობის პროცესს. აღსანიშნავია რომ მიმდინარე წელი არის საიუბილეო, აღინიშნება

სვიმონ კლდიაშვილის დაბადების 155-ე და გარდაცვალების 100 წლისთავი. სასიხარულოა, რომ სწორედ წელს მიენიჭება თბილისის ერთ-ერთ ქუჩას პირველი არქიტექტორის სახელი. ასევე გამოთქვა კმაყოფილება, რომ იუბილესთან დაკავშირებით თბილისის მერიამ დააფინანსა სვიმონ კლდიაშვილის ალბომის გამოცემა.

ასევე აზრი გამოთქვა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ზაალ აბაშიძემ. მან პირველ რიგში მადლობა გადაუხადა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის. თბილისში უკვე არსებობს სერგი გორგაძის, ელენე მეტრეველის და ილია აბულაძის სახელობის გეოგრაფიული ობიექტები. რაც შეეხება სვიმონ კლდიაშვილს, აღსანიშნავია რომ ის არის პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის პროექტის ავტორი, ქალაქ სოხუმის პირველი ქართველი მთავარი არქიტექტორი, ექვთიმე თაყაიშვილის თანამოაზრე და ერთ-ერთი მარჯვენა ხელი. სვიმონმა მასთან ერთად იმოგზაურა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, შავშეთში, ტაო კლარჯეთში, აზომა 20-მდე ძეგლი, მათ შორის ადრინდელი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმთავრესი ნიმუში ბანა და მისი რეკონსტრუქციის პროექტიც გააკეთა. ასევე მას ეკუთვნის სამხატვრო აკადემიის ფასადის პროექტი, აქვს რამდენიმე საინტერესო პროექტი თბილისის გარეთ.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, მესხეთის ქუჩის მონაკვეთს, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთს, ოთხ შესახვევს და ერთ ჩიხს მიენიჭოს არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის სახელი.

5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების II შესახვევის მონაკვეთისთვის მხატვრის ნათელა იანქოშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, 2020 წლის 28 თებერვალს კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის კახაბერ ლაბუჩიძის წერილი,რომლითაც ნავთლუღის დასახლების II შესახვევის მაცხოვრებლები ითხოვენ ქუჩისთვის სახელის შეცვლას.

კომისიაში ასევე შემოსულია მოქალაქე თეიმურაზ დვალიშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს გამოჩენილი ქართველი მხატვრის ნათელა იანქოშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ნავთლუღის დასახლების II შესახვევის მონაკვეთი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად. კომისიამ შეისწავლა ასევე ნათელა იანქოშვილის ბიოგრაფია. იგი გახლდათ ქართული სახვითი ხელოვნების გამორჩეული წარმომადგენელი, რომლის შემოქმედება ხასიათდება განსაკუთრებული ორიგინალურობით. მან შექმნა 1500 მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. იგი გახლდათ საქართველოს სახალხო მხატვარი, ღირსების ორდენის კავალერი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

მისი ნამუშევრები გამოიფინა გამოფენებზე ევროპის არაერთ ქვეყანაში და აშშ-ში. 2012 წელს ბერლინში გამოიცა მისი ვრცელი კატალოგი ინგლისურ ენაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა, ნათელა იანქოშვილის ოჯახის წევრმა თეიმურაზ დვალიშვილმა. მან კომისიას მადლობა გადაუხადა დიდი ქართველი მხატვრის, ნათელა იანქოშვილის ღვაწლის დაფასებისთვის.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს კენჭისყრით მხარი დაუჭირეს.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების II შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს მხატვრის ნათელა იანქოშვილის ქუჩის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამუნა დოლიძის ქუჩისთვის რეხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელში მცხოვრები ნათია გობეჯიშვილის და აღნიშნულ ქუჩაზე მაცხოვრებელი მოქალაქეების ერთობლივი წერილი, რომლითაც ითხოვენ ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელის სახელის ცვლილებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის დროს დადგინდა, რომ გასასვლელი ესაზღვრება ძირითად, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩას. გასასვლელი ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩიდან დამოუკიდებლადაა განვითარებული და მიუხედავად მასთან უშუალო კავშირისა, მოსახლეობას ამ გზით სარგებლობა არ უწევს.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად.

2019 წლის 24 მაისს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ჩუღურეთის რაიონში ე.წ. რეხის დასახლებაში მდებარე ქუჩებს მიენიჭა 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა სახელები. კომისიამ საკითხის განხილვის დროს გადაწყვიტა, რომ დასახლების მიმდებარედ არსებულ ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭებოდა რეხის სახელი. მოსახლეობასთან კონსულტაციის და გზათა ქსელის შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების განლაგება არ იძლევა ახალი ქუჩის წარმოქმნის შესაძლებლობას. თამუნა დოლიძის ქუჩაზე მაცხოვრებლებთან რამდენჯერმე შეხვედრის საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ხსენებული ქუჩისთვის რეხის სახელის მინიჭების თაობაზე.

კომისიამ ასევე მხარი დაუჭირა ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელისთვის თამუნა დოლიძის სახელის მინიჭებას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტლება, რომ ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის ქუჩის სახელი, ხოლო ჩუღურეთის რაიონში, თამუნა დოლიძის ქუჩას მიენიჭოს რეხის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

ძომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის I გასასვლელს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის ქუჩის სახელი, ხოლო ჩუღურეთის რაიონში, თამუნა დოლიძის ქუჩას მიენიჭოს რეხის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ციხისძირის I შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის როსტომ ქობელაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა საკითხის შესახებ. 2020 წლის 28 თებერვალს კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის კახაბერ ლაბუჩიძის წერილი, რომელიც გვიგზავნის მოქალაქე ალექსანდრე ქობელაშვილის განცხადებას, რომლითაც ითხოვს ციხისძირის I შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის როსტომ ქობელაშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ციხისძირის I შესახვევი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად.

კომისიამ ასევე შეისწავლა როსტომ ქობელაშვილის საბრძოლო მოკვლევა. იგი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

კომისიამ გაითვალისწინა ციხისძირის I შესახვევის მაცხოვრებელთა მოთხოვნა, რომელსაც ხელს აწერს ასობით მოქალაქე და მხარი დაუჭირა აღნიშნულ საკითხს.

აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა ალექსანდრე ქობელაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა კომისიას, რომ პატივი დასდეს როსტომ ქობელაშვილის ხსოვნას, რომელიც გმირულად დაიღუპა აფხაზეთში.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ძეორე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ციხისძირის I შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის როსტომ ქობელაშვილის ქუჩის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მესხეთის შესახვევისთვის, ყვარლის შესახვევისთვის და ყვარლის II ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის ძუნიციპალიტეტის ძერიის ისნის რაიონის გამგებლის კახაბერ ლაბუჩიძის წერილი, რომელიც გვიგზავნის მოქალაქე ლუიზა პანიანის განცხადებას, რომლითაც მესხეთის შესახვევის მაცხოვრებლები ითხოვენ აღნიშნული შესახვევისთვის სახელის გადარქმევას.

2019 წლის 12 აგვისტოს კომისიაში შემოსულია „საქართველოს ამერიკელი მეგობრები ინკ-ის“ საქართველოს წარმომადგენლობის აღმასრულებელი დირექტორის ელენა კილაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მესხეთის შესახვევი და ყვარლის შესახვევი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ჩამოყალიბდა ერთ დამოუკიდებელ ქუჩად, ხოლო ყვარლის II ჩიხი მდებარეობს ხსენებული ქუჩის მიმდებარედ, ვინაიდან ტერიტორიაზე სხვა ჩიხი განვითარებული არ არის, მიზანშეწონილია მისთვის ყვარლის I ჩიხის სახელის მინიჭება.

კომისიამ იმსჯელა ქუჩისთვის კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. იგი, როგორც გამოჩენილი ქართველი ემიგრანტი, ნიუ-იორკის ყოფილი ვიცე-მერი, საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრების“ დამაარსებელი გახლდათ.

მისი ინიციატივითა და დიდი ძალისხმევით 1994 წელს დაარსდა აღნიშნული ორგანიზაცია, რომლის დირექტორთა საბჭოს სიცოცხლის ბოლომდე თავმჯდომარეობდა. ორგანიზაციის მეშვეობით უამრავი ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო და სამედიცინო პროგრამა დაფინანსდა.

სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი ელენა კილაძე. მან ისაუბრა კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის ღვაწლზე და კომისიას მადლობა გადაუხადა მისი დაფასებისთვის.

კომისიას მიზანშწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის სახელობის ქუჩა.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, მესხეთის შესახვევს, ყვარლის შესახვევს და ყვარლის II ჩიხს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის ქუჩის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ენათმეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე ღლონტის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე ზურაბ ნოზაძის მიმართვის საფუძველზე ე.წ. ქოშიგორას დასახლებაში ითხოვს უსახელო ტერიტორიის სახელდებას.

2020 წლის 25 ივნისს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ქეთევან გოდერძიშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ენათმეცნიერის ალექსანდრე ღლონტის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები და შეისწავლა ტერიტორია. უსახელო ქუჩა მდებარეობს თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან და მასთან განვითარებულია ერთი ჩიხი.

კომისიამ იმსჯელა ასევე ალექსანდრე ღლონტის მოღვაწეობაზე. ის ცნობილი ენათმეცნიერი, სახელმწიფო პრემიის, ვაჟა-ფშაველას პრემიის, განათლების სამინისტროს არაერთი პრემიის მფლობელი ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის ნამდვილი წევრი და ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრიც გახლდათ.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დედაქალაქში ალექსანდრე ღლონტის სახელობის ქუჩის არსებობა.

სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი ქეთევან გოდერძიშვილი. მან ისაუბრა ალექსანდრე ღლონტის ღვაწლზე. ის იყო ენათმეცნიერი, ოთხი დარგის ფუძემდებელი, მათ შორის ტოპონიმიკის ფუძემდებელი საქართველოში. იყო ასევე ცხვინვალში ქართული ენის განყოფილების დამაარსებელი, ასევე გორის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აკადემიკოსის ღვაწლის დაფასებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიეწიჭოს ენათმეცნიერის, ალექსანდრე ღლონტის სახელი.

11. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბეთანიაში, თამარ მეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეფე გიორგი III-ის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმციით 2020 წლის 16 ივნისს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე დავით ლაბაძე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს ბეთანიაში, თამარ მეფის ქუჩასთან. აქედან გამომდინარე, კომისიამ სახელის შერჩევის დროს გაითვალისწინა ისტორიული გარემოებები და გადაწყვიტა უსახელო ქუჩისთვის თამარ მეფის მამის, გიორგი III-ის სახელის მინიჭება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ბეთანიაში, თამარ მეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მეფე გიორგი III-ის სახელი.

12. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის #198 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარეს ინფორმაციით როგორც ცნობილია, კომისია სახელდების პროცესში თანამშრომლობს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურთან. აღნიშნული სამსახურის უფროსთან ნინო ბახიასთან სატელეფონო კომუნიკაციის დროს გაირკვა, რომ 2018 წლის 10 ივლისის #198 განკარგულებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სამგორის რაიონში გააგრძელა შალვა დოლიძის ქუჩა.

განკარგულების სათაურში და ა) პუნქტში ნაცვლად ჩანაწერისა „შალვა ლოლაძე" ჩაიწერა „შალვა დოლიძე."

კომისიამ იმსჯელა ხსენებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორებაზე.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით კომისიამ დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთორმეტე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული

მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: განკარგულების სათაურში და ა) პუნქტში არსებული ჩანაწერი „შალვა დოლიძე “ შეიცვალოს ჩანაწერით „შალვა ლოლაძე“.

13. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვარკეთილის მე-4 მ/რაიონში, მე-3 კვარტალში არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი გოგალაძის, დავით გრიგოლიას და გოჩა პატარიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის განმარტებით 2020 წლის 14 თებერვალს კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ლევან დავითაშვილის წერილი, რომელიც გვიგზავნის გიორგი შავერდაშვილის წერილს, რომლითაც ვარკეთილის მე-4 მ/რ-ს, მე-3 კვარტლის #5, 6, 12, -ში მცხოვრები მოქალაქეები ითხოვენ სსეწებული კორპუსების მიმდებარედ არსებულ სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული მებრძოლების გიორგი გოგალაძის, დავით გრიგოლიას და გოჩა პატარიძის სახელები.

კომისიამ განიხილა აღნიშნული მოთხოვნა, შეისწავლა გმირულად დაღუპული მებრძოლების საბრძოლო მოკვლევა და საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი გიორგი შავერდაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების სახელის უკვდავყოფისთვის, რაც ასე მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი- არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ვარკეთილის მე-4 მ/რაიონში, მე-3 კვარტალში არსებული უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების გიორგი გოგალაძის, დავით გრიგოლიას და გოჩა პატარიძის სახელი.

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ბესთაუთის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:კომისიის თავმჯდომარემ აცნობა კომისიის წევრებს, 2019 წლის 30 დეკემბერს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ბადრი მანჯავიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ბესთაუთის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა გიორგი ბესთაუთის ბიოგრაფია. მისი თარგმანებიდან აღსანიშნავია ოსურ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი", რისთვისაც ივანე მაჩაბლის პრემია მიენიჭა.

კომისიამ სახელდებისთვის შეარჩია ქინძმარაულის ქუჩის შესახვევის მონაკვეთი, რადგან ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ, უსახელო ქუჩას.

აზრი გამოთქვა დაინტერესებულმა პირმა ბადრი მანჯავიძემ. მან ისაუბრა გიორგი ბესთაუთის ღვაწლის შესახებ. ასევე აღნიშნა, რომ ამ სახელდებით ერთი აგური დაიდება ქართველ და ოს ძმებს შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად .

ასევე აზრი გამოთქვა რობერტ მამისაშვილმა, რომელია არის გიორგი ბესთაუთის ოჯახის წევრი, მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისთვის და მისი ბიძის ღვაწლის დაფასებისთვის.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს აღნიშნულ საკითხს.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე - სული

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს : სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ბესთაუთის ქუჩის სახელი.

15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების I შესახვევისთვის, ნავთლუღის დასახლების II შესახვევისთვის და ერთი გასასვლელისთვის ფსიქიატრის, აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის კახაბერ ლაბუჩიძის წერილი, რომელიც გვიგზავნის მოქალაქე ლამზირა სუხიაშვილის განცხადებას, რომლითაც ნავთლუღის დასახლების II შესახვევის მაცხოვრებლები ითხოვენ ქუჩის სახელის შეცვლას.

2020 წლის 20 თებერვალს კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას წერილი, რომელიც გვიგზავნის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის წერილს, რომლითაც ითხოვს ჩუღურეთის რაიონში მდებარე ტყვიავის ქუჩისთვის ბიძინა ნანეიშვილის სახელის მინიჭებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნავთლუღის დასახლების I შესახვევი და ნავთლუღის დასახლების II შესახვევი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ერთ დამოუკიდებელ ქუჩად, რომელთანაც განვითარებულია ასევე ერთი გასასვლელი.

ახლა გაძოთქვა ბიძინა ნანეიშვილის შვილმა გიორგი ნანეიშვილმა. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აკადემიკოსის ღვაწლის დაფასებისთვის.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთხუთმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების I შესახვევს, ნავთლუღის დასახლების II შესახვევს და ერთ გასასვლელს მიენიჭოს ფსიქიატრის, აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელი.

დასასრულს კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღევანდელი კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრები მიიღებენ საკრებულოს სხდომაზე.

თინათინ ნიბლოშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი